საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ებრაისტიკა-არამეისტიკა / Hebrew-Aramaic Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Hebrew-Aramaic Studies

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთში ჩასახულ ცივილიზაციებს კაცობრიობის ისტორიისათვის. ჩვენს თანამედროვეებს კარგად ესმით დღეს აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის ისრაელისა და არაბული ქვეყნების როლი და მნიშვნელობა როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თსუ-ში და ქართულ სემიტოლოგიურ სკოლაში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით.

ქართული ებრაისტიკისა და არამეისტიკის სკოლის განვითარებას განსაკუთრებული როლი ეკისრება უპირველესად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და კვლევის, და ასევე საკუთრივ ებრაისტიკა-არამისტიკის პრობლემატიკის კვლევის საქმეში. უაღრესად მნიშვნელოვანია ებრაული და არამეული ენების როლი საქართველოს ისტორიის, ქართული დამწერლობისა და ქართული ფილოლოგიის მრავალი საკითხის შესწავლისას, ქართული და წინა აზიის ძველი ენების ურთიერთობის საკითხების კვლევისას, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობის შესწავლისას და სხვ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამა სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით არის აგებული და მომავალ სპეციალისტს საშუალებას აძლევს, შემოქმედებითად, მოცემულ დროს ბაზრის მოთხოვნისა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი განათლების მიმართულება და ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორის არსებობა.

სწავლის შედეგები:
მიმდინარე პროგრამით მომზადებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც მიენიჭება ჰუმანიტარიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი აღმოსავლეთმცოდნის (ებრაისტ-არამეისტის) სპეციალობით, უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა, როგორც ძირითად საუნივერსიტეტო, ასევე სპეციალობის განმსაზღვრელ ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია

კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად.

ცოდნა და გაცნობიერება:
აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა – არამეისტიკაზე და სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში; აღმოსავლური ენების, ებრაულისა და არამეულის საბაზისო ცოდნა, ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების შესწავლა და ზოგადსემიტურ კონტექსტში გააზრება, აღმოსავლური ლიტერატურის, ქართულ – აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების, კულტურის, ისტორიის საბაზისო ცოდნა.

პრაქტიკული უნარი:
ებრაული და არამეული ენებიდან თარგმნა. ტექსტების ფილოლოგიურ – ისტორიული და ზოგადკულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; ბიბლიოთეკის ფონდებზე მუშაობა, ტექსტების რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი; კონკრეტული, ვიწრო დარგობრივი მონაცემების გააზრება, როგორც ლინგვისტურ, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ – კულტუროლოგიურ კონტექსტში; ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ფილოლოგიურ – ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ზოგადი / ტრანსფერული უნარი:
შემეცნებითი (cognitive) და მეთოდოლოგიური უნარი: სინთეზი და ანალიზი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახალი მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

დასაქმების სფეროები:
ბაკალავრი მზადდება აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში პედაგოგიური კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობის ბაკალავრი მომზადებულია და შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტებისათვის.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს საშუალება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სასურველია, სტუდენტმა პროგრამა აირჩიოს არა უგვიანეს II სემესტრისა.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3)საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი;

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებას ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამისათვის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, კერძოდ:

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი თანდათანობით აყალიბებს საერთაშორისო კონტაქტებს როგორც ისრაელის, ისე დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან. ეს კონტაქტები თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს. 2009-2010 სასწავლო წელს დაგეგმილია ცნობილი სპეციალისტების მოწვევა ლექციების წასაკითხად თელ-ავივისა და ლაიდენის უნივერსიტეტებიდან.

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის კუთვნილი ორი კეთილმოწყობილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისტვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერით, ინტერნეტით, აუდიო და ვიდეო კასეტებით, მაგნიტოფონით, კომპაქტ-დისკებით).

სტუდენტისათვის საჭირო ლიტერატურის მოძიება შეიძლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკასა და კ. სალიას კაბინეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ებრაისტიკა-არამეისტიკა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, ებრაისტიკა-არამეისტიკის დარგში, მისცეს მას ებრაული და არამეული ენების საბაზო ცოდნა, შეასწავლოს ისრაელის და ახლო აღმოსავლეთის ისტორია, დღევანდელობა, კულტურა და რელიგია, წარმოდგენა შეუქმნას ქართულ–სირიულ და ქართულ–ებრაულ ისტორიულ, ენობრივ, ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობებზე.

სწავლის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება:
აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა – არამეისტიკაზე და სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში;
ებრაულისა და არამეულის საბაზისო ცოდნა,
აღმოსავლური ლიტერატურის, ქართულ – აღმოსავლური ლიტერატურული, კულტურული, ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა.

პრაქტიკული უნარი
ებრაული და არამეული ენებიდან თარგმნა.
პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი;
ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ფილოლოგიურ – ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ზოგადი / ტრანსფერული უნარი
შემეცნებითი (cognitive) და მეთოდოლოგიური უნარი: სინთეზი და ანალიზი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით.

დასაქმების სფეროები:
ბაკალავრს ებრაისტიკა–არამეისტიკის დამატებითი სპეციალობა შრომით ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს ხდის და დასაქმების სფეროს უფართოვებს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ბაკალავრი ებრაისტიკა–არამეისტიკის დამატებითი სპეციალობით მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში,

ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძო სექტორში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: ებრაისტიკა-არამეისტიკის დამატებითი სპეციალობის ასაღებად სტუდენტს ძირითად სპეციალობად რომელიმე სხვა ენის პროგრამა არ უნდა ჰქონდეს არჩეული.

პროგრამის მოცულობა:
დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტიანი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს სწავლემის მეოთხე სემესტრში (დამატებითი სპეციალობის ენაში დასაგროვებელი 20 კრედიტის შესასრულებლად სტუდენტს 4 სემესტრიანი ენის კურსის გავლა მოეთხოვება, ენის პირველი საფეხური კი ლუწ სემესტრებში ცხადდება).